

ანგლიციზმები გერმანული ენის კომპიუტერულ ლექსიკაში

თეონა ნიჟარაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო
nisharadseteona@yahoo.com

ანოტაცია: სტატიაში განხილულია ანგლიციზმების გავრცელების საკითხი გერმანულ კომპიუტერულ ლექსიკაში ფონეტიკურ, გრაფიკულ და მორფოლოგიურ დონეებზე. კომპიუტერთან დაკავშირებული ლექსიკა ინგლისური ენიდან იღებს სათავეს. ნასესხებ სიტყვათა უმეტესობა არსებითი სახელია, თუმცა გვხვდება ასევე ზმნური ანგლიციზმებიც. ანგლიციზმები გერმანული ენის კომპიუტერულ ლექსიკაში განიცდიან ადაპტაციას როგორც ფონეტიკურ და გრაფიკულ, ასევე მორფოლოგიურ დონეზე.

საკვანძო სიტყვები: ანგლიციზმები, კომპიუტერული ლექსიკა, ადაპტაცია, ფონეტიკური, გრაფიკული, მორფოლოგიური დონეები.

I შესავალი

ენა ღია სისტემაა. მასზე ძლიერ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და ტექნიკური ფაქტორები. ენებს მუდმივად აქვთ კონტაქტი და განიცდიან კიდევ ერთმანეთის გავლენას. თუკი გერმანული ადრე სიტყვებს ბერძნულიდან, ლათინურიდან და ფრანგულიდან სესხულობდა, დღესდღეობით სიტყვების მსესხებელი წყარო ინგლისური გახდა.

II ანგლიციზმები კომპიუტერულ ლექსიკაში

ანგლიციზმების გავრცელების შესახებ არსებობს ლინგვისტთა აზრთა სხვადასხვაობა.

ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ ანგლიციზმების შემოსვლა ენის ცვლილების შემადგენელი ნაწილია, რომლის მეშვეობითაც კომუნიკაციური შესაძლებლობები იზრდება და ენის ლექსიკური ფონდი მდიდრდება. მათი აზრით, ანგლიციზმების რაოდენობის ზრდა გლობალიზაციის შედეგია და მას წინ არ უნდა აღუდგინ, რადგან ენა ამ პროცესს თვითონვე დაარეგულირებს. ენათმეცნიერთა მეორე ნაწილს მიაჩნია, რომ ანგლიციზმების შემოსვლა უარყოფით ზეგავლენას იქონიებს გერმანულზე და ენიდან განდევნის მრავალ გერმანულ ლექსემას. მათი აზრით, ანგლიციზმები გერმანულში იმდენად ჩვეულებრივ მოვლენა გახდა, რომ ის შეიძლება ითქვას, გერმანულ-ინგლისური ენების ნაზავად იქცა.[1] ანგლიციზმებმა მოიცვა თითქმის ყველა სფერო: პრესა, ტელევიზია, ეკონომიკა, ახალი ტექნოლოგიები, ახალგაზრდების ენა და ა.შ.

ისმის შეკითხვა: რამდენად განიცდის კომპიუტერის ენა ინგლისური ენის ზეგავლენას? განვიხილოთ ანგლიციზმების გავრცელების საკითხი კომპიუტერის ენაში. კომპიუტერული ტექნიკა ამერიკაში განვითარდა, შესაბამისად, კომპიუტერთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ინგლისური ენიდან იღებს სათავეს. ტექნიკური ინოვაციის იმპორტთან ერთად გერმანულში შემოვიდა ინგლისური სიტყვა Personal Computer და მისი მოკლე ფორმა PC, ხოლო შესატყვისი გერმანული სიტყვა Rechner საერთოდ ამოვარდა ენიდან. კომპიუტერის შემოსვლასთან ერთად

გერმანულში სწრაფად გავრცელდა კომპიუტერული ტერმინები: Hardware, Software, CD-ROM, Monitor, Interface, online და ა. შ. [2]

სანამ ანგლიციზმებს გავაანალიზებდეთ, მინდა ტერმინი ანგლიციზმი დავაზუსტო. აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით არსებობს ლინგვისტა განსხვავებული მოსაზრებები. დუდენის ლექსიკონში ანგლიციზმი შემდეგნაირად განიშარტება „Übertagung einer für das britische Englisch charakteristischen Erscheinung auf eine nicht englische Sprache“. [4] ვინაიდან ამერიკული და ინგლისური ლექსიკური ერთეულების ერთმანეთისაგან გარჩევა სირთულეს წარმოადგენს, ენათმეცნიერთა ერთი ნაწილი ანგლიციზმს ამერიკანიზმისაგან არ განასხვავებს. [3] მეც მათ მოსაზრებას ვემხრობი და ანგლიციზმში ვგულისხმობ ამერიკანიზმსაც ანუ ისეთ სიტყვებს, რომლებიც ამერიკული ინგლისურისაგან მომდინარეობენ.

ანგლიციზმების გერმანულ ენაში მოხვედრისას ხდება მათი გაგერმანულება, ზოგიერთი ინარჩუნებს ინგლისური სიტყვის ფორმასა და მნიშვნელობას, ანუ სესხების დროს ხდება ფონეტიკური და გრამატიკული სუბსტიტუცია, ჩანაცვლება - ენობრივი ერთეული იძენს ნაწილობრივ ახალ გამოხატულებასა და შინაარსს. ნასესხობა მიესადაგება მსესხებელი ენის სისტემას ზოგჯერ იმდენად, რომ ზოგჯერ მისი უცხოური წარმომავლობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად. ნასესხები ენობრივი ერთეულის ადაპტაციის, ანუ მსესხებელი ენის სისტემისადმი შეგუების, მისადაგების ხარისხს განსაზღვრავს ამ ერთეულის ხმარების სიხშირე და ზოგიერთი სხვა ფაქტორი. [5]

კომპიუტერული ლექსიკა გადატვირთულია ინგლისურენოვანი ტერმინებით, რომელთა უმეტესობა არსებითი სახელია. ყველაზე ხშირად გამოყენებული ნასესხები სიტყვა კომპიუტერულ ლექსიკაში არის Internet, რომლის სრული ფორმაცაა international network. ამავე კონტექსტში განიხილება სიტყვები: World Wide Web, Web-Site, Browser ან Webbrowser, Net-Surfer, ასევე მისი გერმანული შესატყვისი Netz-Surfer.

ტერმინები Homeshopping ან Homebanking გამოხატავენ შესაძლებლობას, ფინანსური ტრანსაქციები ვანარმოთ სახლიდან გაუსვლელად.

განსაკუთრებით პოპულარული გახდა ანგლიციზმი Scanner, რომელიც აღნიშნავს აპარატს, ხოლო ამ უკანასკნელის გამოყენება გამოიხატება ინგლისური წარმოშობის ზმნით scannen.

გარდა არსებითი სახელებისა, კომპიუტერულ ლექსიკაში ზმნური ანგლიციზმებიც შემოვიდა: posten, einloggen, surfen, anklicken და ა. შ.

გერმანულში გავრცელებულია ასევე ანგლიციზმთა შემოკლებებიც: CD, CD-ROM, RAM, DRAM და სხვა.

როგორია კომპიუტერულ ლექსიკაში ანგლიციზმთა ფონეტიკური ასიმილაცია? კომპიუტერის ენაში ანგლიციზმთა ფონეტიკური ასიმილაციის დონე მაღალია. გერმანულისთვის დამახასიათებელი სიტყვისა და მარცვლის ბოლოთანხმოვნის ასიმილაცია

ანგლიციზმებთანაც გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისურ ენაში ბოლო თანხმოვანი როგორც წესი, თუ ის მუდგერია, ყრუდ არ წარმოითქმის. გერმანული ანგლიციზმებისთვის დამახასიათებელია ასევე ის, რომ თანხმოვანი „რ“-ს ვოკალიზაცია გერმანული და არა ინგლისური წარმოთქმის სისტემის მიხედვით ხდება. [6] ვოკალიზებული მაგ. „რ“ წარმოითქმის როგორც [ʀ] მაგ. hardware გერმანულში

გამოითქმის როგორც [ha:ɛʀtʰe:ɐ]. ინგლისურისგან განსხვავებით სიტყვაში hard ბოლოკიდური თანხმოვანი ყრუვდება. ნაცვლად [w] გერმანულში წარმოითქმის [v].

კომპიუტერის ენაში ანგლიციზმები განიცდიან გრაფიკულ ასიმილაციასაც. მაგალითად, ინგლისურიდან ნასესხები არსებითი სახელები, ინგლისურისაგან განსხვავებით, დიდი ასოთი იწერება. დუდენში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ Substantive werden großgeschrieben [7] და მოყვანილია მაგალითები: Drink და Digestif. საინტერესოა შედგენილი ანგლიციზმების წერის საკითხი. არსებობს შედგენილ ანგლიციზმთა წერის რამოდენიმე მეთოდი: შედგენილი სიტყვები იწერებიან ერთად

ან დეფისით. კომპიუტერის ენიდან შესაძლებელია მრავალი მაგალითის მოყვანა: Hyperlink, Laptop, Mailbox, Palmtop, Scrollpad, Trackbad, Update და სხვა.

ძალზედ იშვიათად ვხვდებით ანგლიციზმთა პატარა ასოთი წერის შემთხვევებს, მაგ. single user. სიტყვა E-Mail უმეტესად დიდი ასოთი ინერება, თუმცა არსებობს ასევე პატარა ასოთი წერის შემთხვევებიც. აღნიშნული სიტყვა კომპოზიტებში ყოველთვის ასომთავრულით ინერება. მაგ: E-Mail-Adresse, E-Mail- Funktion, E-Mail-Schreiber და სხვა. კომპოზიტი ანგლიციზმები შესაძლებელია ორგვარად დაინეროს: დეფისით ან დეფისის გარეშე. ზოგჯერ გვხვდება პარალელური ფორმებიც: Chipproduzenten-Chip-Produzenten, Cybercash-Cyber-cash, Hardwareprobleme-Hardware-Probleme, Internetsurfer-Internet-Surfer, Mausclick-Maus-Klick, Personalcomputer-Personal-Computer. World-Wibe-Web დეფისით ინერება კომპოზიტის შემთხვევაში, მაგ. World-Wibe-Web-Seiten, World-Wibe-Web-Anwender. [8]

ანგლიციზმების გამოყენება გერმანულ ენაში შეუძლებელი იქნებოდა გარკვეული მორფოლოგიური ცვლილებების გარეშე. აუცილებელ მორფოლოგიურ ცვლილებას მიეკუთვნება არტიკლის მიღება. რთულია ანგლიციზმთა არტიკლის განსაზღვრა, თუმცა არსებობს რამოდენიმე წესი არტიკლთან დაკავშირებით. მაგ. ანგლიციზმები, რომლებსაც აქვთ -er დაბოლოება გერმანულის მსგავსად, მამრობითი სქესისაა. მაგ. Browser, Computer, Controller, Scanner, Server, Player, Provider, Surver, User, ხოლო -ing-ზე დაბოლოებული ანგლიციზმები საშუალო სქესისაა. მაგ. Shopping, Banking, Imaging, Learning.

ზოგიერთ ანგლიციზმთა სქესის განსაზღვრა ხდება შემდეგნაირად: ანგლიციზმი ღებულობს შესაბამისი გერმანული სიტყვის არტიკლს. მაგ. ანგლიციზმა E-Mail მიიღო მისი გერმანული შესატყვისის die Post მდებარეობითი სქესის არტიკლი. სიტყვაში Cyberspace space შეესაბამება სიტყვას Raum, ამიტომ მან მამრობითი სქესის არტიკლი მიიღო. CD ან DVD განიხარტება როგორც Compact Disc ან Digital Versatile. Disc. გერმანული შესატყვისია Scheibe ან Platte,

შესაბამისად, მათ მიიღეს მდებარეობითი სქესის არტიკლი. World-Wide-Web საშუალო სქესის არის, რადგან Web უკავშირდება გერმანულ შესატყვისის Netz. [9]

გერმანულისაგან განსხვავებით, ფრანგულში კომპიუტერული ტერმინების აღსანიშნავად გამოიყენება მათი ფრანგული შესატყვისები. გერმანული ენის სინმინდის დასაცავად 1997 წელს გერმანიაშიც შეიქმნა საზოგადოება Der Verein Deutsche Sprache, რომელიც ცდილობს შეაჩეროს ანგლიციზმების შემოსვლის პროცესი, თუმცა ანგლიციზმებს ისინი სრულიად არ უარყოფენ. ამასთან დაკავშირებით საზოგადოების დამაარსებელი გამოთქვამს შემდეგ მოსაზრებას „Ich selbst nutze in meinen Vorlesungen sogar dann englische Wörter, wenn es deutsche dafür gibt, aber wenn die englischen halt kürzer sind. [...] Wenn es knackiger ist und eine Lücke füllt, habe ich keine Berührungsängste.“ [10]ენის დამცველთა საზოგადოება მრავალი ღონისძიებით ცდილობს გერმანული შეინარჩუნოს კულტურის ენად.

III დასკვნა

შეიძლება ითქვას, რომ გერმანული კომპიუტერული ლექსიკა გადატვირთულია ანგლიციზმებით. ვინაიდან კომპიუტერული ტექნიკა ამერიკაში განვითარდა, კომპიუტერთან დაკავშირებული ლექსიკა ინგლისური ენიდან იღებს სათავეს. ტექნიკური ინოვაციის იმპორტთან ერთად გერმანულში შემოვიდა მრავალი ინგლისური ლექსემა, რომელთა უმეტესობა არსებითი სახელია, თუმცა გვხვდება ასევე ზმნური ანგლიციზმებიც. ინგლისური ნასესხები სიტყვები, უმეტეს შემთხვევაში, ექვემდებარება გერმანული ენის როგორც ფონეტიკურ და გრაფიკულ, ასევე მორფოლოგიურ კანონზომიერებებს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისური სიტყვების რიცხვი გერმანული ენის კომპიუტერულ სფეროში ძალზედ მაღალია, ეს ფაქტი გერმანული ენისთვის მაინც საფრთხეს არ წარმოადგენს, ვინაიდან ანგლიციზმთა ასიმილაცია გერმანულში მარტივად ხდება. როგორც გოეთე აღნიშნავდა: „Die Gewalt einer Sprache ist nicht, das sie das Fremde abweist, sondern dass sie es verschlingt“ [11]

გამოყენებული ლიტერატურა:

- [1] Spitzmüller, Jürgen: Metasprachdiskurse. Einstellungen zu Anglizismen und ihre wissenschaftliche Rezeption. Berlin, New York: de Gruyter 2005, S. 363-364
- [2] Grote, Andrea, Schütte, Daniela: Entlehnung und Wortbildung im Computerwortschatz. In: Weingärtner, Rüdiger: Sprachwandel durch Computer:Darmstadt. Westdt.Verlag, 1997, S. 45
- [3] Bußmann, Hadumod: Lexikon der Sprachwissenschaft. Stuttgart:Kröner 1990, S. 84
- [4] Vgl. Zürn, Alexandra: Anglizismen im Deutschen.Diss.Karlsruhe: Universitätsverlag 2001, S 63.
- [5] გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ.: თეორიული ენათმეცნიერების კურსი: თბილისი. „თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“ 2003, გვ. 389
- [6] ქეცბა-ხუნდაძე ლ. გიორგობიანი დ.: გერმანული ენის ლექსიკოლოგია: თბილისი. გამომცემლობა „უნივერსალი“ 2012, გვ.105
- [7] Duden: Grammatik der deutschen Gegenwartssprache. 6., neu bearb. Aufl.Mannheim. Hrsg. von der Dudenredaktion 1998, S. 89
- [8] Grote, Andrea, Schütte, Daniela: Entlehnung und Wortbildung im Computerwortschatz. In: Weingärtner, Rüdiger: Sprachwandel durch Computer:Darmstadt. Westdt.Verlag, 1997, S. 47
- [9] Grote, Andrea, Schütte, Daniela: Entlehnung und Wortbildung im Computerwortschatz. In: Weingärtner, Rüdiger: Sprachwandel durch Computer:Darmstadt. Westdt.Verlag, 1997, S. 49
- [10] Krämer, Walter In: Rolf Potthoff: Das Deutsche ist cool. Westdeutsche Allgemeine Zeitung von 14 März, 2007, S.5.
- [11] Goethe, Wolfgang: URL: <http://www.aphorismen.de/zitat/109202> Download vom 16.09.2014.

